

GORDANA BLAGOJEVIĆ
(SERBIA)

POLYPHONIC SACRAL SINGING AS A SYMBOL OF NATIONAL AND RELIGIOUS MINORITY: SLOVAKS IN SERBIA

Introduction

This research focuses on polyphonic sacral singing as a symbol of national and religious identity of the Slovak ethnic minority in Serbia¹. Slovaks in Serbia represent an example of double minority. They are ethnic minority but being members of the Slovak Evangelical Church of Augsburg Confession also represent religious minority, both in the host country, as well as, in their homeland. To be precise, dominant religion in Serbia is Orthodoxy, while in the Slovak Republic it is Roman Catholicism. The religious factor was crucial for the ancestors of today's Slovaks in Serbia to leave Slovakia. On the other hand, sacral singing in their native tongue contributed to the preservation of their ethnic and religious consciousness in the new country. This paper was created as a result of my own field research conducted by the methods of interview, casual conversations and observing church services in the Slovak Evangelical Church throughout Vojvodina from October 2013 until May 2014².

Slovak Ethnic Minority in Serbia

Slovaks mostly live in the Slovak Republic but there is also large Diaspora in European countries and overseas. According to the statistics from 2008 and 2013, in the Slovak Republic live 5 415 459 Slovaks, in the USA 1 200 000, in the Czech Republic 375 000 (<http://www.uszz.sk/sk/pocty-a-odhady/>). Slovaks settled in the territory of present day Vojvodina (northern part of Serbia) in several waves, starting in the mid-18th century (Crnjanski, 2007: 620). First groups of Slovak nation established in southern Hungary, i.e. southern Bačka. Prior to the beginning of the 19th century they settled in some locations in Srem and Banat (Crnjanski, 2007: 620) One of the main *push* factors for mass migration of Slovaks during this period was of a religious nature. Namely, the majority of Roman Catholic population in what was then Hungary was not friendly disposed towards the Protestants who were forced to move in search of better living (Kmeč, 1996: 667).

Today, Slovaks in the Slovak Republic are predominantly Roman Catholics. However, their compatriots in Serbia are mostly Lutherans, that is, members of the Slovak Evangelical Church of the Augsburg Confession (further in the text: SEC) (Raković, 2010: 376–377). Therefore, the largest number of Slovaks in Serbia belongs to the SEC.

SEC in Serbia is divided into seniorates of Bačka, Banat and Srem. Since 2008 there is also German seniorate. Each seniorate is headed by a senior. This Diocese counts 28 church municipalities and 13 branches of the church municipalities. Currently, there are 24 ordained priests, six of whom are female priestesses. At the head is the Bishop. Priests of the SEC acquire their education at Evangelical Theological Faculty of Komensky (Comenius) University in Bratislava, Slovak Republic. Synod has the highest administrative and legislative power in the SEC. SEC in Serbia publishes monthly magazine *Evanjelický hlasník*, church yearbook *Ročenka* and calendar *Evanjelický kalendar*. Radio Novi Sad broadcasts a program *Pohľad z vyšín* on Sundays.

However, in Serbia also live Slovaks who belong to the other traditional religions and there are members of, tentatively speaking, new Protestant churches (Raković, 2010: 378; Blagojević, 2014). For example, in Banat, on the territory of the municipality of Kovačica, there are nine more Protestant religious congregations besides SEC, whose members are Slovaks (Blagojević, 2014). Arriving to Vojvodina, Slovaks brought with them part of their spiritual and material culture whose characteristics separated them from the population already there (Bosić, 1996: 32). Slovak ethnic minority is known for its naïve art beyond the borders of Serbia. Interestingly, the common motif on the paintings of these artists is bell tower in the exterior or the Bible in the interior (Blagojević, 2012: 185-195).

According to Census from 2002 Slovaks make 0.79% (59.021) of total population of the Republic of Serbia. Today, Slovaks in Vojvodina are the absolute or relative majority in two Vojvodina municipalities (Bački Petrovac and Kovačica) (Census, 2011). Cultural autonomy of Slovaks in Serbia is achieved by protecting the right to education and information in native tongue, official use of language and protection of cultural heritage and tradition (Crnjanski, 2007: 623).

Polyphonic Sacral Singing as a Symbol of Religious and Ethnic Identity

First Slovak immigrants – Evangelists in Vojvodina immediately built churches and prayer homes as well as schools. Their religious teaching implied that everybody had to be literate and to be able to read Holy Scripture and sing church songs in their mother language. **Temples** of Slovak Evangelists are of the rectangular shape with typical simplicity of the interior. They are mostly single-aisled basilica that can have a gallery. These churches have bell towers ending with baroque caps. The church in Bački Petrovac was built in 1782 (<http://www.slovackizavod.org.rs/sr/kultur-no-nasledje/1377>).

According to SEC teaching, all faithful at the church service sing using songbooks. Singing is monophonic and harmonization is achieved playing organ, which is necessarily used at the service. During holiday festive services polyphonic choir participates and it can be mixed or made of singers of the same gender. Pastor also sings during the service (video ex. 1).

The songbooks used for worship are especially important. Some contain only lyrics but some have notations as well. In some places it was emphasized that melody was modeled on a folk song, for example Slovak, Moravian, Polish or Czech (Evanjelicky spevnik (a), 1992: 99, 131, 138, 158, 374, 591, 594, 595, 596, 602, 653, 639). The songbooks changed over time. There are songs based on Gregorian foundation and old church scales, from the Renaissance period, German baroque and period of Reformation (Luther's Chorales), from Romanticism. New songbook *Evanjelicky spevnik* contains songs based on folk tunes and in contemporary genre (Evanjelicky spevnik (b), 1992). Older songbooks did not have the notes, so the melodies were transmitted orally. Organ players mostly play using music notation.

Regarding rhythm, singing can be divided into older (slower) and recent (faster). The older way implies *lento*, grave tempo. All the quarter notes were sung as a half note and the eighth notes were sung as a quarter note. In terms of expression, singing was stronger and more energetic than today. The sentence was losing its meaning in this older style of singing. With the arrival of the new songbooks during 1990s, the way of singing changed. These songbooks contain musical notation (audio ex. 1)³.

Special role in the liturgical music belongs to cantor, the singer-organist. Cantors' music ed-

education varies – some are self-taught but some have Music academy degree. Between the Two World Wars cantors taught school children to sing the most important hymns by heart. Everybody in SEC in Serbia contributed in a special way; however, due to the limited space, I would mention two participants in this study, Janko Siroma⁴ and Juraj Sudji⁵.

Synodal cantor of SEC in Serbia, Juraj Sudji is also cantor-organist in Selenča. Five different choirs are under his leadership. Before his appointment as a cantor, as he says, singing in Selenča was *more folksy*: “Older women had an influence on singing at the church service and previous cantor listened to them. I accepted to be a cantor if they would listen to me and sing as it is written in the book, in the notes”. Sudji points out that the main problem was the question of the pace of performance: “I had a very hard time to speed up the singers, because they sung all the songs two or three times slower”. Here I would like to mention one characteristic of a traditional life in Bačka, the area where this village is located: slow pace of life. Probably this life philosophy was reflected on a way people sung in the church until the arrival of an educated musician who was trying to “slip” them into written sheet music (audio ex. 2).

According to the cantors mentioned above, cantors play different role during church service in Slovakia and Serbia. In the first case, cantor is primarily an instrumentalist whose role is to play the organ. In Serbia, besides playing, cantor is expected to lead singing as well, so he should have a strong and beautiful voice. In addition, greater inventiveness in playing is necessary, since musician’s attention is divided between the singing and playing, so notes are not played exactly as they are written, rather there is plenty of room for improvisation. In 1992 Juraj Sudji founded vocal and instrumental trio *Vox humana* [they released a tape *Raduj sa a plesaj* (1992)]. Members of this group were Ludmila Berediova-soprano, Juraj Sudji-tenor and Jarmila Juricova-organ. They travelled Slovak villages in Serbia and sung Christmas and Easter songs in Slovak. The people received them with delight.

Composers of church music within SEC were born and they created music on Serbian territory. I shall mention some of them: Ján Krasko Zápotocký, Ján Valaš’an Dolinský, Ľudovít Žigmund Seberini. Ferdinand Rohoň (1823–1884), composer and a teacher, he composed spiritual songs inspired by folk songs. Jan Valent (1941–2008, Selenca) was a pastor in many places throughout Vojvodina and then a bishop of SEC in Serbia. He published two songbooks with drafts of music notations⁶. After his death, at the initiative of his wife, Jan Sudji arranged those music sheets and recorded three compact discs (audio ex. 3)⁷. Besides being a cantor, Juraj Sudji is also a composer who writes church and popular music. In 2012 he published a songbook with his music *Moj život je tisic piesni*, accompanied with a CD.

Within SEC there are many church **choirs**. We can find the oldest written testimony of the four-voice singing in the church in travel journal *Celebration of the first centenary* by Jan Micatek from Stara Pazova. He attended the centennial celebration of the settlement of Slovaks in this town and wrote down that four-voice hymn *Who for justice burns* was performed in front of the parish center.

The beginnings of polyphonic choral singing date back to 1920s. In the village Glozan a four-voice male choir was established in 1924. This church choir performed at the reception in the King’s Palace in Belgrade in 1938. In 1937 male church choir was established in Kovačica. It counted about 40 members. They sung two-, three- and four-voice songs. Mixed church choir was founded in the village of Silbaš in 1933. The choir had 44 members. On their repertoire there were spiritual/religious songs in four-voice and folk songs. They performed throughout Backa at church

services and secular gatherings and celebrations. During the fifties and the sixties of the 20th century large number of polyphonic church choirs was formed. Youth, male, female and mixed choirs were created⁸.

There is an interesting mixed choir founded in 2011 in Aradac village, made up mainly of young spouses. Conductor is composer Mihal Labat⁹. The choir is made up of Slovak residents. People in their forties dominate age-wise and in terms of gender, two thirds are female. Choir members have no formal musical education, except for the conductor who graduated from Music Academy in Novi Sad. Labat has worked with them on vocal technique and tried to adjust his compositions to their singing. Being aware that singing harmonies of polyphonic compositions requires mature choir, he designed his compositions so that they are rhythmically difficult and effective. This choir is special for its way of music presentation, contemporary approach to the church music and for performing original songs written by their conductor and church hymns arranged by him.

His composition "Glory of the Lord shines upon us" ("Sláva Hospdinova svieti nad nami"), inspired by one sermon in the church when the priest uttered those words, particularly stands out (video ex. 2). According to Labat, the moment he heard those words, musical theme of the entire song appeared in his head. The next song was inspired by the writing on the interior church wall, "Glory to God in the highest" ("Sláva Bohu na výsostiach"). This was followed by more compositions starting with the word "glory" and so the cycle of "glories" was created.

Youth choirs or vocal-instrumental groups typically choose modern sound (pop, rock, jazz, spiritual). The organ is almost completely left out. Keyboards, acoustic, electric and bass guitars, drums and the other modern instruments, replace it. These choirs perform mostly at special services for young people or at youth meetings, organized at the level of the entire SEC or particular senioritis (Backa, Srem, Banat). Members of these youth choirs/groups are middle school age children, high school and college students and young people not yet married (audio ex. 4). Representatives of this modern direction in church singing development are, for example, youth church choir *Pramene* (The Springs) from Kovačica who closely collaborates with the music group *The blue room*, or church music group *Žalm 150* (Psalm 150) from Bačka Palanka¹⁰.

Polyphonic church singing plays particularly important role in establishing inter-ethnic and inter-religious dialogue. As an example of this type of activity can serve Chamber choir *Zvony* (Bells), founded by Juraj Sudji and his wife Renata in 1993 in Selenča. This is in every respect a mixed choir, both in terms of singers' gender and age structure, as well as religious and professional affiliations. There are about 30 active members. This choir performs classical spiritual music and also arrangements of Slovak folk songs. Folk orchestra *Zvoniva cimbalovka* acts within the choir. In terms of religious structure, there are Evangelists of Augsburg Confession, Roman Catholics and Eastern Orthodox. Age structure includes three generations of singers. The youngest member is 11 years old and the oldest is 70. Professional structure is also very diverse: from primary and secondary school pupils and college students, workers, farmers, merchants, teachers, to highly educated. They participated in various manifestations at home and abroad. Particularly warm reception they have in Slovakia.

One should keep in mind that Selenča is a very specific settlement. Slovaks make majority of the population. At the same time, it is the only place in Serbia where Roman Catholic Slovaks live together with Slovak Protestants. Besides, small number of Serbs, Roma people, Hungarians and members of other ethnic minorities live there (Census, 2011). According to conductor Sudji, the choir was established with a purpose "to show that we can live together". He is a Protestant but his

wife is a Roman Catholic. In the beginning they provoked mistrust on both sides – why were they gathering at homes, singing spiritual music when we have our churches? With time people accepted them. The activity of the choir members, socializing and joint singing of polyphonic compositions in different Christian religious traditions contributed locally to better understanding and accepting the other, who was different in terms of religion, without pretension to change somebody's belief system.

This research showed that church singing played a great role in preserving ethnic and religious identity among the members of Slovak national minority in Serbia. On the other hand, it is the polyphonic singing of the church hymns of different Christian denominations that can serve as a kind of a bridge between the same national minority members who belong to different churches, as well as, between the members of other nationalities. Polyphonic singing of the church music can provide means for overcoming conflicts and for unification.

Notes

¹ This paper is the result of Project no. 177027: *Multiethnicity, Multiculturalism, migrations – contemporary process*, by the Ministry of Education, Science and Technological Development of the Republic of Serbia

² I would like to thank all the respondents for their affability, especially pastors Ana Petrak Petrović from Belgrade, Jan Cicka from Padina, synodal cantor Juraj Sudji from Selenča and cantor Janko Siroma from Kovačica who helped me a lot during research

³ From the interview with cantors Janko Siroma and Juraj Sudji

⁴ Janko Siroma was born in 1981 in Kovačica. He was a cantor in SEC in his hometown. In 2006 he graduated from State conservatory in Bratislava (organ) and received Master's degree in Brno, where he currently works on PhD thesis in the same field. He works as a professor of organ at the Art school in Bratislava

⁵ Juraj Sudji was born in 1968 in Bač. He graduated from Music academy in Novi Sad. Since 1992 he teaches music education in elementary school in Selenča. He also composes (compositions for children, engaged compositions, lyrical and popular compositions). He recorded large number of CDs and DVDs

⁶ Jan Valent, *Spev mojej duše*, Bački Petrovac 1978; Jan Valent, *Rozhovorz s Bohom*, Kisač 1995

⁷ Vianočný spev mojej duše, 2011; Velkonočný spev mojej duše, 2012; Nabožnz spev mojej duše, 2014

⁸ Data obtained from pastor Ana Petrak Petrović

⁹ Mihal Labat was born in 1988 in Zrenjanin. He studied General Music Education at the Music Department of the Academy of Arts in Novi Sad and graduated in 2013. He mastered piano, vocal techniques and music theory. Labat composes and performs his own compositions. From 2011 to 2013 he led children's orchestra and choir at the Evangelical Church in Aradac. From 2012 until present he leads mixed church choir in Aradac and holds music workshops for children. Since 2008 he has been a member of many vocal ensembles and choirs in Novi Sad and he won awards performing with them (for

example, choir of KUD Svetozar Markovic, choir of Chamber Music Society at the Serbian National Theater, vocal ensemble *Akademac*, etc.). From 2008 to 2013 he was the lead singer and keyboard player in two rock-bands (*Zemljotres (Earthquake)*, *Himera (Chimera)*)

¹⁰ Data obtained from pastor Ana Petrak Petrović

References

- Blagojević, Gordana. (2012). "Naivno slikarstvo kao priča o etnokulturnom identitetu Slovaka u Srbiji: primer Kovačice" ("Naive art as a story about the ethnocultural identity of Slovaks in Serbia: the example of Kovačica"). In: *Matica srpska department of social sciences*, #139 (2): 85–195
- Blagojević, Gordana. (2014). "The influence of migrations on the ethnic/national and religious identities: the case of the Evangelical Methodist Church in Banat". In: *Bulletin of the Institute of Ethnography, SASA*, #62 (1): 67–80
- Bosić, Mila. (1996). *Godišnji običaji Srba u Vojvodini*. Novi Sad: Muzej Vojvodine, Prometej
- Crnjanski, Katarina. (2007). "Slovaci u Vojvodini" ("Slovaks in Vojvodina"). In: Položaj nacionalnih manjina u Srbiji, Naučni skupovi SANU (30), Beograd
- Evanjelicky spevník* (a). (1992). Slovenska evanjelicka cirkev augsburskeho vyznania v SR
- Evanjelicky spevník* (b). (1992). Generalný Biskupský úrad v Bratislave
- Kmeč, Jan. (1996). "Vlastita logika slobode slovačke nacionalne manjine u Vojvodini" ("Intrinsic logic of freedom of Slovakian national minority in Vojvodina"). In: *Status of minorities in the Federal Republic of Yugoslavia, SASA*: 667-672. Beograd
- Raković, Slaviša. (2010). "Slovaci i Romi pentekostalci u Srbiji: skrivena(e) manjina(e) i potkultura(e)?" ("Pentecostal Slovaks and Roma in Serbia: Hidden(s) minority(ies) and subculture(s)"). In: *Tradici-ja – Folklor – Identitet (Tradition Folklore Identity)*. Sremski Karlovci: Institute of the Academy of Serbian Orthodox Church for the Arts and Conservation

Internet resources

Census of population, households and appartments in Republic of Serbia 2011.

http://popis2011.stat.rs/?page_id=2134&lang=en

Urad pre Slovakov žijucich v zahraniči: <http://www.uszz.sk/sk/pocty-a-odhady/>

Vojvodina Slovak Cultural Institute: <http://www.slovackizavod.org.rs/sr/kulturno-nasledje/1377>

Audio examples

1. *Ked' sa Kristus narodil (When Christ was born)*. CD *Ježiši môj, zachráň ma (My Jesus, save me)*.

Choir of the Slovak Evangelical Church in Padina (Serbia)

2. *Zaznej pieseň (Let the song be heard)*. CD *Buďme láskou spojení (Let the song be heard)*. Choir of the Slovak Evangelical Church in Selenča (Serbia). Recorded in March 2007 in the Slovak Evangelical Church in Selenča (Serbia)
3. *Hospodine, Bože náš (O Lord our God)*. CD *Nabožnij spev mojej duše*. Author of the melodies and texts: Dr. Fr. Jan Valent. Recorded in March and April 2012 in Novi Sad (Serbia)
4. *My sme ruky Božie (We are the hands of God)*. CD *Pane, počuj môj hlas! (Lord, hear my voice)*. Jouth Choir of the Slovak Evangelical Church in Padina (Serbia)

Video examples

1. Example of service in the Evangelical Church. Slovak Evangelical Church in Backi Petrovac (Serbia), February 2010. Video archive of the Slovak Evangelical Church in Backi Petrovac (Serbia)
2. Composition *Sláva Hospodinova svieti nad nami (Glory of the Lord shines upon us)* by Mihal Labat. Choir of the Slovak Evangelical Church in Aradac (Serbia). Video archive of Mihal Labat

**გორდანა გლაგოვიჩი
(სერბეთი)**

პოლიფონიური სასულიერო სიმღერა, როგორც ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სიმბოლო: სლოვაკები სერბეთში

შესავალი

წარმოდგენილი კვლევა ფოკუსირდება პოლიფონიურ სასულიერო სიმღერაზე, როგორც სერბეთის ეთნიკური უმცირესობის – სლოვაკების ეროვნულ და რელიგიურ იდენტობაზე¹. სლოვაკები სერბეთში წარმოადგენენ ორმაგ უმცირესობას. ისინი ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ არიან სლოვაკეთის აუგსბურგის აღსარების ევანგელისტური ეკლესიის წევრები, რომელიც ასევე წარმოადგენს რელიგიურ უმცირესობას, როგორც სერბეთში, ისე მათ სამშობლოშიც. დავაზუსტებ, რომ სერბეთში ძირითადად დომინირებს მართლმადიდებლობა, მაშინ, როდესაც სლოვაკების რესპუბლიკაში წამყვანია რომაული კათოლიციზმი. სწორედ რელიგიური ფაქტორი იყო გადამწყვეტი სერბეთის სლოვაკთა წინაპართათვის, რის გამოც მათ სამშობლო დატოვეს. მეორე მხრივ, სასულიერო სიმღერა ეროვნულ ენაზე ხელს უწობდა ახალ ქვეყანაში მათი ეთნიკური და რელიგიური თვითშეგნების დაცვას. წარმოდგენილი მოხსენება დაინერა ჩემი საველე ექსპედიციების საფუძველზე, სადაც ვიყენებდი ინტერვიუების მეთოდს, ვაკვირდებოდი შემთხვევით საუბრებსა და საეკლესიო მსახურებას სლოვაკეთში ვოევოდინას ევანგელისტურ ეკლესიაში 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაისის ჩათვლით².

სლოვაკთა ეთნიკური უმცირესობა სერბეთში

სლოვაკები უპირატესად ცხოვრობენ სლოვაკეთის რესპუბლიკაში, მაგრამ არსებობს ასევე საკმაოდ დიდი დიასპორა ევროპის ქვეყნებში და ოკეანის იქითაც. 2008 და 2013 წლების სტატისტიკის მიხედვით, სლოვაკეთის რესპუბლიკაში ცხოვრობს 5 415 459 სლოვაკი, ამერიკაში – 1 200 000, ჩეხეთის რესპუბლიკაში – 375 000 (<http://www.uszz.sk/sk//pocyt-a-odhady/>). სლოვაკები დასახლდნენ თანამედროვე ვოევოდინას (Vojvodina, სერბეთის ჩრდილოეთი) ტერიტორიაზე რამდენიმე ტალღად, რაც დაიწყო მე-18 საუკუნის შუა პერიოდში (Crnjanski, 2007: 620). სლოვაკი ეროვნების პირველი ჯგუფები ცნობილია სამხრეთ უნგრეთში, ანუ სამხრეთ ბაჩკაში (Backa). მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ისინი დასახლდნენ სრემისა (Srem) და ბანატის (Banat) ზოგიერთ ტერიტორიაზე (Crnjanski, 2007: 620). ამ პერიოდში სლოვაკების მასობრივი ემიგრაციის ერთ-ერთი მთავარი ბიძგი რელიგიური ბუნების იყო. კერძოდ, უნგრეთის რომაული კათოლიკური მოსახლეობის უმეტესობა არ იყო კეთილგანწყობილი პროტესტანტებისადმი, რომლებიც იძულებით გადასახლდნენ საუკეთესო საცხოვრებელი ადგილის საძებრად (Kmeč, 1996: 667).

დღესდღეობით, სლოვაკები სლოვაკეთის რესპუბლიკაში, უპირატესად, რომაული კათოლიკეები არიან. თუმცა მათი თანამემამულეები სერბეთში არიან ლუთერანები, ანუ წარმოადგენენ აუგსბურგის აღსარების სლოვაკური ევანგელისტური ეკლესიის

წევრებს (შემდგომში ტექსტში მას აღვნიშნავთ: SEC) (Raković, 2010: 376-377). ამიტომ, სერბეთში სლოვაკების დიდი ნაწილი SEC-ს მიეკუთვნება.

სერბეთში SEC იყოფა ბაჩკას, ბანატისა და სრემის სენიორატებად (seniorate). 2008 წლიდან აქ ასევე არის გერმანიის სენიორატი. თითოეულ სენიორატს ხელმძღვანელობს სენიორი. ამ ეპარქიაში შედის 28 საეკლესიო მუნიციპალიტეტი და საეკლესიო მუნიციპალიტეტის 13 ფილიალი. ამჟამად აქაა 24 ხელდასმული მღვდელი, ამათგან 6 ქალია. მათ სათავეშია ეპისკოპოსი. SEC-ის მღვდლები განათლებას იღებენ კომენსკის (Komensky, Comenius) უნივერსიტეტის ევანგელისტურ თეოლოგიურ ფაკულტეტზე ბრატისლავაში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში. სინოდს SEC-ში გააჩნია უმაღლესი ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ძალა. სერბეთში SEC ყოველთვიურად გამოსცემს ჟურნალს *Evanjelicky hlasnik*, საეკლესიო ყოველწლიურ ალბომს *Ročenka* და კალენდარს *Evanjelicky kalendar*. რადიო Novi Sad კვირაობით გამოსცემს პროგრამას *Pohladz k vyšinam*.

მიუხედავად ამისა, სერბეთში ცხოვრობენ სხვა ტრადიციული რელიგიური აღმსარებლობის სლოვაკები, ასევე არიან ახალი პროტესტანტული ეკლესიების წევრები (Raković, 2010: 378; Blagojević, 2014). მაგალითად, ბანატში, კოვაჩიკას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, SEC-ის გარდა კიდევ ცხრა პროტესტანტული რელიგიური გაერთიანებაა, რომლის წევრები სლოვაკები არიან (Blagojević, 2014). ჩამოვიდნენ რა ვოევოდინაში, სლოვაკებმა თან “წამოიღეს” მათი სულიერი და მატერიალური კულტურის ნაწილი, რაც განასხვავებდა მათ უკვე არსებული მოსახლეობისგან (Bosić, 1996: 32). სლოვაკთა ეთნიკური უმცირესობა შორს, სერბეთის საზღვრებს გარეთ, ცნობილია მისი ნაივური ხელოვნებით. საინტერესოა, რომ ამ არტისტების მხატვრობის ზოგადი ძირითადი იდეაა სამრეკლო ექსტერიერში ან ბიბლია ინტერიერში (Blagojević, 2012: 185-195).

2002 წლის აღწერის თანახმად, სლოვაკები შეადგენენ სერბეთის რესპუბლიკის საერთო მოსახლეობის 0.79%-ს (59.021). დღესდღეობით, ვოევოდინაში სლოვაკები წარმოადგენენ აბსოლუტურ ან შედარებით აბსოლუტურ უმრავლესობას ვაევოდინას 2 მუნიციპალიტეტში (ბაჩკი პეტროვაც და კოვაჩიკა) (Census, 2011). სერბეთში სლოვაკების კულტურული ავტონომია მიიღწევა ეროვნულ ენაზე განათლებისა და ინფორმაციის უფლებებით, ენის ოფიციალურად გამოყენებით და კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების დაცვით (Crnjanski, 2007: 623).

პოლიფონიური სასულიერო სიმღერა, როგორც რელიგიური და ეთნიკური იდენტობის სიმბოლო

პირველმა სლოვაკმა ემიგრანტებმა – ევანგელისტებმა ვოევოდინაში სასწრაფოდ ააგეს ეკლესიები, სამლოცველო სახლები და სკოლები. მათი რელიგიური სწავლების თანახმად, ყველა უნდა ყოფილიყო განათლებული, შეძლებოდა წაეკითხა წმინდა წერილი და ემღერა საეკლესიო სიმღერები მშობლიურ ენაზე. სლოვაკი ევანგელისტების ტაძრები მართკუთხა ფორმისაა უბრალო, ტიპური ინტერიერით. ესაა ერთნავიანი ბაზილიკა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გალერეა. ამ ეკლესიებს აქვთ სამრეკლოები, რომლებიც სრულდება თავისებური ქუდით ბაროკოს სტილში. ეკლესია ბაჩკი პეტროვაჩში აიგო 1782 წელს (<http://www.slovackizavod.org.rs/sr/kulturno-nasledje/1377>).

SEC-ის სწავლების თანახმად, ეკლესიაში ყველა მორწმუნე წირვისას სასიმღერო წიგნების გამოყენებით მღერის. სიმღერა მონოფონიურია, ჰარმონიზებას აკეთებენ

ორგანით, რომელიც აუცილებლად გამოიყენება წირვისას. საზეიმო წირვაში შეიძლება მონაწილეობდეს შერეული ან ერთი სქესის მომღერლებისგან შემდგარი პოლიფონიური გუნდი. წირვისას ასევე მღერის პასტორიც (ვიდეომავ. 1).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავყვანისცემისთვის გამოყენებული სასიმღერო წიგნები. ზოგიერთი შედგება მხოლოდ ტექსტებისგან, ხოლო ზოგიერთში მოცემულია ნოტებიც. ზოგან ხაზგასმულია, რომ მელოდია ფოლკლორულ სიმღერაზეა აგებული, მაგალითად, სლოვაკურზე, მორავიულზე, პოლონურზე ან ჩეხურზე (Evanjelicky spevník (a), 1992: 99, 131, 138, 158, 374, 591, 594, 595, 596, 602, 653, 639). ეს სასიმღერო წიგნები იცვლება დროთა განმავლობაში. აქაა სიმღერები, რომლებიც ეყრდნობა გრიგორისეულ ქორალსა და ძველ საეკლესიო კილოებს, რენესანსის პერიოდს, გერმანული ბაროკოსა და რეფორმაციის (ლუთერანული ქორალები), რომანტიზმის პერიოდს. ახალი სასიმღერო წიგნი *Evanjelicky spevník* შეიცავს სიმღერებს ფოლკლორულ მოტივებზე და თანამედროვე ჟანრებში (Evanjelicky spevník (b), 1992). ძველ სასიმღერო წიგნებში არ იყო მოცემული სანოტო ტექსტი, ამიტომ მელოდიები გადაეცემოდა ზეპირად. ორგანის შემსრულებლები უპირატესად იყენებდნენ ნოტებს.

რიტმის თვალსაზრისით, გვხვდება ძველი (ნელი) და თანამედროვე (ჩქარი) სიმღერები. ძველი სრულდება *lento*-ს, *grave*-ს ტემპში. ყოველი მეოთხედი ნოტი იმღერებოდა, როგორც ნახევრიანი გრძლიობის, ხოლო მერვედები – როგორც მეოთხედები. გამომსახველობის თვალსაზრისით, სიმღერა იყო უფრო მკაცრი და მეტად ზემოქმედებდა, ვიდრე დღესდღეობით. სიმღერის ამ ძველ სტილში წინადადება კარგავდა მნიშვნელობას. 1990 წლიდან, ახალი სასიმღერო წიგნების შემოსვლასთან ერთად, სიმღერის სტილი შეიცვალა. ეს სასიმღერო წიგნები შეიცავს სანოტო დამწერლობას (აუდიომავ. 1)³.

ლიტურგიულ მუსიკაში განსაკუთრებული როლი ენიჭება კანტორს, მომღერალ-ორგანისტს. კანტორთა მუსიკალური განათლება განსხვავებულია – ზოგი თვითნასწავლია, მაგრამ ზოგიერთს აქვს მუსიკალური აკადემიის ხარისხი. ორ მსოფლიო ომს შორის კანტორები ზეპირად ასწავლიდნენ სკოლის მოსწავლეებს ყველაზე მნიშვნელოვან ჰიმნებს.

SEC-ში ყველას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. მაგრამ შეზღუდული დროის გამო, აღვნიშნავ წინამდებარე კვლევის ორ მონაწილეს – იანკო სირომასა (Janko Siroma)⁴ და იურაი სუდიის (Juraj Sudji)⁵.

სერბეთში SEC-ის სინოდის კანტორი იურაი სუდიი არის ასევე კანტორი-ორგანისტი სელენჩაში. ის ხელმძღვანელობს 5 განსხვავებულ გუნდს. მის კანტორად დანიშვნამდე, როგორც იგი ამბობს, სიმღერა სელენჩაში უფრო მეტად ხალხური იყო: „ასაკოვანი ქალები საეკლესიო მსახურებისას გავლენას ახდენდნენ სიმღერაზე და წინამორბედი კანტორი მათ უსმენდა. მე დავთანხმდი კანტორობას იმ პირობით, რომ ისინი მომისმენდნენ და იმღერებდნენ ისე, როგორც წიგნში იყო მითითებული, ნოტებით“. სუდიი აღნიშნავს, რომ ძირითადი პრობლემა იყო შესრულების ტემპი: „ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა, როდესაც ვცდილობდი ამჩქარებინა შესრულება, იმიტომ, რომ მომღერლები ყველა სიმღერას მღეროდნენ ორჯერ ან სამჯერ ნელა“. აქვე მინდა აღვნიშნო ბაჩკას ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი – სივრცეზე, სადაც ეს ტერიტორიაა განლაგებული, ცხოვრება ნელი ტემპით მიედინება. შესაძლოა, ეს ცხოვრებისეული ფილოსოფია იყო ასახული ხალხის სიმღერაში, სანამ ეკლესიაში არ მოვიდა განათლებული მუსიკოსი, რომელიც ცდილობდა შეეყვანა მომღერლები ნოტებით ჩანერილი მუსიკის სამყაროში (აუდიომავ. 2).

ზემოთ ნახსენები კანტორის თანახმად, სლოვაკეთსა და სერბეთში კანტორები საეკლესიო წირვაში განსხვავებულ როლს ასრულებენ. პირველ შემთხვევაში, კანტორი, პირველ ყოვლისა, ინსტრუმენტალისტია, რომლის მოვალეობაა ორგანზე დაკვრა. სერბეთში კანტორი, დაკვრის გარდა, უნდა მღეროდეს კიდეც, ამიტომ, მას უნდა ჰქონდეს ძლიერი და ლამაზი ხმა. გარდა ამისა, აუცილებელია დაკვრისას იმპროვიზაციულობის უნარი. როცა მუსიკოსის ყურადღება ნაწილდება სიმღერასა და დაკვრას შორის, ნოტები არ იკვრება ზუსტად ისე, როგორც ჩანერილია, რაც იმპროვიზაციის დიდ შესაძლებლობას იძლევა. 1992 წელს იურაი სუდიიმ დაარსა ვოკალური და ინსტრუმენტული ტრიო *Vox humana* (მათ გამოუშვეს ჩანანერი *Raduj sa a plesaj* (1992)). ამ ჯგუფის წევრები იყვნენ: ლუდმილა ბერედოვა – სოპრანო, იურაი სუდიი – ტენორი და იარმილა იურიცოვა – ორგანი. ისინი სერბეთში სლოვაკეთის სოფლებიდან ჩამოვიდნენ და სლოვაკურად მღეროდნენ საშობაო და სააღდგომო სიმღერებს. ხალხმა ისინი აღფრთოვანებით მიიღო.

საეკლესიო მუსიკის კომპოზიტორები SEC-ის წიაღში დაიბადნენ და მათ შექმნეს მუსიკა სერბეთის ტერიტორიაზე. მინდა აღვნიშნო ზოგიერთი მათგანი: იან კრასკო ზაპოტოცკი (*Ján Krasko Zápotocký*), იან ვალაშტან დოლინსკი (*Ján Valaštan Dolinský*), ლუდოვიტ ზიგმუნდ სებერინი (*Ludovít Žigmund Seberini*). ფერდინანდ როჰონი (*Ferdinand Rohoň, 1823 – 1884*) არის კომპოზიტორი და მასწავლებელი; მან შექმნა ფოლკლორული სიმღერებით შთაგონებული სასულიერო სიმღერები. იან ვალენტი (*Jan Valent, 1941-2008*) ვოევოდინაში ბევრგან იყო პასტორი, შემდეგ გახდა SEC-ის ეპისკოპოსი სერბეთში. მან გამოსცა სიმღერების 2 წიგნი ნოტებით⁶. პასტორის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეუღლის ინიციატივით, იან სუდიიმ გააკეთა მუსიკალური ჩანანერების არანჟირება და ჩანერა 3 კომპაქტ დისკი (აუდიომაგ. 3)⁷. კანტორობის გარდა, იურაი სუდიი ასევე კომპოზიტორია, რომელიც წერს საეკლესიო და პოპულარულ მუსიკას. 2012 წელს მან გამოსცა სიმღერების კრებული საკუთარი მუსიკით *Moj život je tisíc piesni*, რომელსაც თანდართული აქვს CD.

SEC-ის ფარგლებში ბევრი საეკლესიო გუნდი ფუნქციონირებს. უძველესი ჩანანერი ეკლესიაში ოთხხმიანი სიმღერის შესახებ შეიძლება ვნახოთ სტარა პაზოველი იან მიცატეკის მოგზაურის ჟურნალში *Celebration of the first centenary*. ის ესწრებოდა ამ ქალაქში სლოვაკების დასახლების საუკუნოვან დღესასწაულს და აღნიშნა, რომ მრევლის წინაშე შესრულდა ოთხხმიანი ჰიმნი *Who for justice burns*.

პოლიფონიური ქორალური სიმღერა 1920-იანი წლებიდან იღებს სათავეს. სოფელ გლოზამში მამაკაცთა 4-ხმიანი გუნდი დაარსდა 1924 წელს. ეს საეკლესიო გუნდი ბელგრადში 1938 წელს მეფის მიღებაზე მღეროდა. 1937 წ. კოვარცაში მამაკაცთა გუნდი დაარსდა. მასში დაახლოებით 40 წევრი იყო. ისინი მღეროდნენ ორ, სამ და ოთხხმიან სიმღერებს. საეკლესიო შერეული გუნდი სოფელ სილბაში 1933 წ. დაარსდა. გუნდში 44 მომღერალი იყო. მათ რეპერტუარში შედიოდა ოთხხმიანი რელიგიური/საეკლესიო და ფოლკლორული სიმღერები. ისინი გამოდიოდნენ ბაკაში საეკლესიო მსახურების დროს, ასევე, საერო შეკრებებსა და დღესასწაულებზე. მე-20 საუკუნის 50–60-იანი წლების განმავლობაში ბევრი საეკლესიო პოლიფონიური გუნდი ჩამოყალიბდა – შეიქმნა მოზარდთა, მამაკაცთა, ქალთა და შერეული გუნდები⁸. სოფელ არადაკში 2011 წ. ჩამოყალიბდა საინტერესო შერეული გუნდი, სადაც უპირატესად ახალგაზრდა ცოლ-ქმრები მღერიან. გუნდს ხელმძღვანელობს კომპოზიტორი მიჰალ ლაბატი⁹. ამ გუნდის შესრულება განსაკუთრებულია, ვინაიდან გამოირჩევა საეკლესიო მუსიკისადმი თანამე-

დროვე მიდგომითა და რეპერტუარით, რომელშიც შედის ლაბატის სიმღერები და მის მიერ არანჟირებული საეკლესიო ჰიმნები.

გუნდის არც ერთ წევრს არ აქვს მუსიკალური განათლება, გარდა დირიჟორისა, რომელმაც დაამთავრა მუსიკალური აკადემია ნოვი სადში. ლაბატი მუშაობდა მათთან ვოკალურ ტექნიკაზე და ცდილობდა მათი სიმღერისთვის მოერგო თავისი კომპოზიციები, რადგან დარწმუნებული იყო, რომ პოლიფონიური კომპოზიციების სასიმღერო ჰარმონიებს სჭირდება ჩამოყალიბებული გუნდი. ის ქმნიდა რიტმულად რთულ და ეფექტურ კომპოზიციებს. მუსიკის შესრულების მანერით, საეკლესიო მუსიკის მიმართ თანამედროვე მიდგომითა და მათი დირიჟორის ორიგინალური სიმღერებისა თუ არანჟირებული საეკლესიო საგალობლების შესრულების თვალსაზრისით, ეს გუნდი განსაკუთრებულია.

სათანადო აღნიშვნის ღირსია ლაბატის კომპოზიცია „ღვთის დიდება და გვნათის“, რომელიც მას ერთი ქადაგების დროს მღვდლის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა შთააგონა (ვიდეომაგ. 2). ლაბატი აცხადებს, რომ ამ სიტყვების გაგონებისთანავე მის გონებაში მთელი სიმღერა დაიბადა. შემდეგი ნაწარმოები შთაგონებული იყო წარწერით ეკლესიის შიდა კედელზე: „დიდება უფალს ზეცაში“. ამას მოყვა სხვა კომპოზიციები, რომლებიც ასევე იწყებოდა სიტყვით „დიდება“. ასე შეიქმნა „დიდებათა“ მთელი ციკლი.

ახალგაზრდების გუნდები ან ვოკალურ-ინსტრუმენტული ჯგუფები, ჩვეულებრივ, ირჩევენ თანამედროვე მუსიკას (პოპი, როკი, ჯაზი). ორგანი თითქმის მთლიანად უგულველყოფილია. იგი ჩაანაცვლა კლავიშთანადა, აკუსტიკურმა, ელექტრონულმა და ბას-გიტარებმა, დასარტყამებმა და სხვა თანამედროვე ინსტრუმენტებმა. ეს გუნდი უმეტესწილად გამოდის SEC-ის ან კონკრეტული სენიორების (ბაკა, სრემი, ბანათი) დონეზე ორგანიზებულ ახალგაზრდების სპეციალურ მსახურებებზე ან ახალგაზრდულ შეხვედრებზე. ამ ახალგაზრდული გუნდების/ჯგუფების წევრები არიან საშუალო სკოლის მოსწავლეები, კოლეჯის სტუდენტები და ჯერ კიდევ დაუქორწინებელი ახალგაზრდები (აუდიომაგ. 4). საეკლესიო სიმღერის განვითარების ამ თანამედროვე მიმართულების წარმომადგენელი, მაგალითად, ახალგაზრდული გუნდი *Pramene* კოვაჩიკადან მჭიდროდ თანამშრომლობს მუსიკალურ ჯგუფთან *The blue room*, ან საეკლესიო მუსიკის ჯგუფთან *Žalm 150* (ფსალმუნი 150) ბაჩკა პალანკადან¹⁰.

მრავალხმიანი საეკლესიო სიმღერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტერ-ეთნიკური და ინტერ-რელიგიური დიალოგის შექმნაში. ამ ტიპის აქტივობის ნიმუშის სახით შეიძლება მოვიყვანოთ კამერული გუნდი *Zvonj* (ზარები), რომელიც დააარსეს იურაი სუდიიმ და მისმა მეუღლე რენატამ 1993 წელს სელენჩაში. ეს, ყველა თვალსაზრისით, შერეული გუნდია – როგორც მომღერლების სქესისა და ასაკის, ასევე მათი რელიგიური და პროფესიული შეხედულებების თვალსაზრისით. იგი შედგება 30 აქტიური წევრისგან და ასრულებს კლასიკურ სასულიერო მუსიკასა და სლოვაკური ფოლკლორული სიმღერების არანჟირებებს. ფოკლორული ორკესტრი მოღვაწეობს ამ გუნდის ფარგლებში. რელიგიური შემადგენლობა არაერთგვაროვანია. აქა არიან აუგსბურგის ევანგელისტები, რომაული კათოლიკეები და აღმოსავლეთის მართლმადიდებლები. მომღერლები ასაკობრივად სამ თაობას მოიცავენ. ყველაზე ახალგაზრდა მომღერალი 11 წლისაა, ყველაზე ასაკოვანი კი – 70 წლის. პროფესიული პროფილიც ძალიან განსხვავებულია: დანწყბითი საშუალო სკოლის მოსწავლეებიდან კოლეჯის სტუდენტების, მოხელეების, გლეხების, ვაჭრების, მასწავლებლების, უაღრესად განათლებულების ჩათვლით. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა მსვლელობებში როგორც სახლში, ისე საზღვარგარეთ. გან-

საკუთრებით თბილად მათ სლოვაკეთში ხვდებიან.

ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სელენჩა ძალიან სპეციფიკური დასახლებაა. სლოვაკები მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენენ. ამავდროულად, ეს სერბეთში ერთადერთი ადგილია, სადაც რომაული კათოლიკური სერბები და სლოვაკი პროტესტანტები ერთად ცხოვრობენ. გარდა ამისა, აქ მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სერბები, ბოშები, უნგრელები და სხვა ეთნიკური უმცირესობებიც (Census, 2011). დირიჟორ სუდიის მიხედვით, გუნდის დაარსების მიზანი იყო, „გვეჩვენებინა, რომ ჩვენ ერთად ცხოვრება შეგვიძლია“. ის პროტესტანტია, მეუღლე კი – კათოლიკე. დასაწყისში ორივე მხრიდან უნდობლობას ინვესტდნენ – რატომ იკრიბებიან სახლებში და მღეროიან სასულიერო მუსიკას, როდესაც ჩვენ ეკლესიები გვაქვს? დროთა განმავლობაში ხალხმა მიიღო ისინი. გუნდის წევრების მოღვაწეობა, ურთიერთობა და განსხვავებული ქრისტიანული ტრადიციების მუსიკის ერთობლივი შესრულება ხელს უწყობდა სხვათა ტრადიციების უკეთ გაგებასა და მიღებას, რწმენის შეცვლაზე პრეტენზიის გარეშე.

წინამდებარე კვლევამ გვიჩვენა, რომ საეკლესიო სიმღერა დიდ როლს ასრულებს სერბეთის სლოვაკ უმცირესობათა ეთნიკური და რელიგიური იდენტობის დაცვაში. მეორე მხრივ, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის საეკლესიო ჰიმნების პოლიფონიური სიმღერა ერთგვარი ხიდის ფუნქციას ასრულებს, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ისე სხვადასხვა ეკლესიებს მიკუთვნებულ, ერთი და იმავე ეროვნების უმცირესობის წევრებს შორის.

საეკლესიო პოლიფონიურ სიმღერას შეუძლია ხელი შეუწყოს კონფლიქტების დაძლევისა და ადამიანების გაერთიანებას.

შენიშვნები

¹ წინამდებარე კვლევა შესრულებულია სერბეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკური განვითარების სამინისტროს პროექტის (№177027) – *მულტიეთნიკურობა, მულტიკულტურალიზმი, მიგრაციები – თანამედროვე პროცესები – ფარგლებში*

² მადლობა მინდა გადავუხადო ყველა რესპოდენტს მათი კეთილმოსურნეობისთვის, განსაკუთრებით კი, პასტორს ანა პეტრაკ პეტროვიჩს ბელგრადიდან, იან ციკკას პადინადან, სინოდის კანტორს იურაი სუდიის სელენჩადან და კანტორს იანკო სირომას კოვაჩიკადან (Kovačica), რომლებიც ძალიან დამეხმარნენ კვლევის პროცესში

³ იანკო სირომასა და იურაი სუდიის ინტერვიუდან

⁴ იანკო სირომა დაიბადა 1981 წ. კოვაჩიკაში. იგი მის მშობლიურ ქალაქში იყო კანტორი SEC-ში. 2006 წ. დაამთავრა ბრატისლავას სახელმწიფო კონსერვატორია (ორგანი) და მიიღო მაგისტრის წოდება ბრნოში, სადაც ამჟამად მუშაობს სადოქტორო შრომაზე იმავე სფეროში. ის ბრატისლავას ხელოვნების სკოლაში ორგანის პროფესორია

⁵ იურაი სუდიი დაიბადა 1969 წ. ბაჩაკში. მან დაამთავრა ნოვი სადის მუსიკის აკადემია. 1992 წლიდან ასწავლის მუსიკას სელენჩას დაწყებით სკოლაში. ის ასევე წერს მუსიკას (ნაწარმოებები ბავშვებისთვის, ლირიკული და პოპულარული კომპოზიციები). ჩანერილი აქვს უამრავი CD და DVD

⁶ Jan Valent, *Spev mojej duše*, Bački Petrovac 1978; Jan Valent, *Rozhovor s Bohom*, Kisač 1995

⁷ Vianočný spev mojej duše, 2011; Velkonočný spev mojej duše, 2012; Nabožnz spev mojej duše, 2014

⁸ ინფორმაცია მოგვანოდა პასტორმა ანა პეტრაკ პეტროვიჩმა

⁹ მიჰალ ლაბატი დაიბადა 1988 წ. ზრენიანიში. უმაღლესი მუსიკალური განათლება ნოვი სადის ხელოვნების აკადემიაში მიიღო, რომელიც 2013 წელს დაასრულა. გაიარა ფორტეპიანოს, ვოკალისა და მუსიკის თეორიის კლასები. ლაბატი წერს და ასრულებს საკუთარ ნაწარმოებებს. 2011-2013 წლებში ხელმძღვანელობდა არადაკის ევანგელისტური ეკლესიის ბავშვთა ორკესტრსა და გუნდს. 2008 წლიდან ის ნოვი სადის არაერთი ვოკალური ანსამბლისა და გუნდის წევრი გახლდათ, მათთან ერთად მოგებულ აქვს რამდენიმე ჯილდო (მაგალითად: სვეტოზარ მარკოვიჩის გუნდი, სერბეთის ნაციონალური თეატრის მუსიკალური საზოგადოების კამერული გუნდი, ვოკალური ანსამბლი აკადემასი და ა.შ.) 2008 წლიდან 2013 წლამდე იყო ორი როკ ჯგუფის სოლისტი და კლავიშებიან საკრავზე შემსრულებელი (*Zemljotres (მინისძვრა)*, *Himera (ქიმერა)*)

¹⁰ ინფორმაცია მოგვანოდა პასტორმა ანა პეტრაკ პეტროვიჩმა

აუდიომაგალითები

1. *Ked' sa Kristus narodil (როდესაც ქრისტე იშვა)*. CD *Ježiši mój, zachráň ma (ჩემმა ქრისტემ გადამარჩინა)*. სლოვაკური ევანგელისტური ეკლესია პადინა (სერბეთი)
2. *Zaznej pieseň (მოდი, მოვისმინოთ სიმღერა)*. CD *Bud'me láskou spojení (სიყვარულით ვიზრუნოთ)*. სლოვაკური ევანგელისტური ეკლესია სელენჩაში (სერბეთი). ჩანერილია 2007 წლის მარტში სლოვაკურ ევანგელისტურ ეკლესიაში სელენჩაში (სერბეთი)
3. *Hospodine, Bože naš (ო, ღმერთო ჩვენო)*. CD *Nabožnij spev mojej duše*. მელოდიები და ტექსტი: დოქტორი ფრ. იან ვალენტი. ჩანერილია 2012 წლის მარტსა და აპრილში ნოვი სადში (სერბეთი)
4. *My sme ruky Božie (ღვთის ხელში ვართ)*. CD *Pane, počuj mój hlas! (ღმერთო შეისმინე ჩემი ხმა!)* სლოვაკეთის ევანგელისტური ეკლესიის ახალგაზრდული გუნდი პადინაში (სერბეთი)

ვიდეომაგალითები

1. ღვთისმსახურება ევანგელისტურ ეკლესიაში. ბაკი პეტროვაჩის (სერბეთი) სლოვაკური ევანგელისტური ეკლესია
2. მიჰალ ლაბატის კომპოზიცია *Sláva Hospodinova sviati nad nami (ღვთის დიდება დაგვენათის)*. სლოვაკეთის ევანგელისტური ეკლესიის გუნდი არადაჩში (სერბეთი). მიჰალ ლაბატის ვიდეოარქივი

მოსსენებები
22-26 სექტემბერი 2014 თბილისი, საქართველო

ტრადიციული მრავალხმიანობის

მეშვიდე

საერთაშორისო

სიმპოზიუმი

THE SEVENTH
INTERNATIONAL
SYMPOSIUM
ON TRADITIONAL POLYPHONY

22-26 SEPTEMBER 2014 TBILISI, GEORGIA
PROCEEDINGS

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA
TBILISI STATE CONSERVATOIRE

უკ (UDC) 784.4 (479.22) (063)
ტ-753

რედაქტორები *რუსუდან წურწუმია*
იოსებ ჟორდანია

EDITED BY *RUSUDAN TSURTSUMIA*
JOSEPH JORDANIA

გამოცემაზე მუშაობდნენ: *ნინო რაზმაძე*
მაია კაჭკაჭიშვილი
მაკა ხარძიანი
თეონა ლომსაძე
ბაია ჯუჟუნაძე
მალხაზ რაზმაძე

THIS PUBLICATION WAS PREPARED BY: *NINO RAZMADZE*
MAIA KACHKACHISHVILI
MAKA KHARDZIANI
TEONA LOMSADZE
BAIA ZHUZHUNADZE
MALKHAZ RAZMADZE

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2015

© International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi Vano Sarajishvili
State Conservatoire, 2015

ISBN 978-9941-9399-4-5

გარეკანის მხატვარი **ნიკა სებისკვერაძე**
Cover Design by **NIKA SEBISKVERADZE**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო რაზმაძე, ბაია ჯუჟუნაძე**
Computer Service by **NINO RAZMADZE, BAIA ZHUZHUNADZE**

ს ა რ ჩ ე ვ ი
C O N T E N T S

რედაქტორებისაგან	9
From the Editors	14
ტრადიციული ვოკალური მრავალხმიანობა და ეროვნული უმცირესობები	
TRADITIONAL VOCAL POLYPHONY AND ETHNIC MINORITIES	
იოსებ ჟორდანია (ავსტრალია/საქართველო) – ნაციონალური უმცირესობები, ხალხური მრავალხმიანობა, კულტურული პოლიტიკა და სახელმწიფო საზღვრები	21
Joseph Jordania (Australia/Georgia) – National Minorities, Traditional Polyphony, Cultural Policy and State Borders	27
გორდანა ბლაგოევიჩი (სერბეთი) – პოლიფონიური სასულიერო სიმღერა, როგორც ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სიმბოლო: სლოვაკები სერბეთში	33
Gordana Blagojević (Serbia) – Polyphonic Sacral Singing as a Symbol of National and Religious Minority: Slovaks in Serbia	40
ნონა ლომიძე (ავსტრია/საქართველო) – ქართველი ებრაელები ვენაში – მათი ტრადიციები და ინტეგრაცია	47
Nona Lomidze (Austria/Georgia) – Georgian Jews in Vienna – Their Traditions and Integration	51
ქრისტერ ირგენს-მოლერი (დანია) – ვოკალური პოლიფონია ნურისტანში	57
Christer Irgens-Møller (Denmark) – Vocal Polyphony in Nuristan	66
იუ-ჰსიუ ლუ, შუ-ჩუან კაო (ჩინეთი, ტაივანი) – პოლიფონიურია თუ მონოფონიური ამისების სიმღერა?	80
Yu-Hsiu Lu, Shu-Chuan Kao (China, Taiwan) – Is the Song of the <i>Amis</i> Polyphonic or Monophonic?	83
მარინა კვიჟინაძე (საქართველო) – ტრადიციული მრავალხმიანი სიმღერის შემსრულებლობის ფურცლები აფხაზეთში	86
Marina Kvizhinadze (Georgia) – Notes on Performing Traditional Multipart Songs in Abkhazia (Abkhazeti)	93